საჯარო მოხელეთა სისხლის ფასი გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადების“ მიხედვით

გიული ძიძიგური
სტუ-ს ასოც. პროფესორი

შუასაუკუნეების ამ ცნობილი ძეგლის არაერთი მუხლი განმარტავს მთიულეთის საჯარო მოხელეთა სოციალურ კუთვნილებას და შესაბამისად ადგენს მათი სისხლის საურავს. სამეცნიერო ლიტერატურაში, აღნიშნული მუხლების ინტერპრეტაციისას, დაშვებულია აშკარა შეცდომები, რომლებიც არსებითად ცვლიან ტექსტის შინაარსს. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ამ ხარვეზის გამოსწორებას ისახავს მიზნად.

დავიწყოთ იმით, რომ ძეგლი შეგნებულად არ საზღვრავს მთიულეთში ყველაზე დიდი მოხელის – ერისთავის, სისხლის ფასს. მოტივაცია ასეთია: კანონმდებელობაში არ არსებობს და სასურველია მომავალშიც არ გაჩნდეს ერისთავის მკვლელობის იურიდიული პრეცედენტი. ერისთავის მოკვლა, „ვით არაოდეს კადრებულა, ეგრე ნუმცა ვისგან იკადრების“ და თუ მაინც ვინმეს „ღმერთი გაუწყრა“ და ერისთავი მოკლა, მისი სისხლი უნდა დაიურვოს „გვარსა ზედა“, მაგრამ რა „გვარისაა“ ერისთავი, რომელი სოციალური წრის წარმომადგენელია იგი, ამის შესახებ კანონმდებელი შეგნებულად დუმს.

ვ. ითონიშვილი, მას შემდეგ რაც საგანგებოდ შეისწავლა ეს საკითხი, მივიდა დასკვნამდე, რომ ძეგლში არსებული არაპირდაპირი ცნობებით, ერისთავის გვარისა და შესაბამისად სისხლის ფასის განსაზღვრა შესაძლებელია.

განვიხილოთ ავტორის მიერ მოხმობილი არაპირდაპირი ცნობები, „პირდაპირ“ რომ საზღვრავს ერისთავის სისხლის ფასს.

აი ისიც:

- თუ მსახური იყოს გამგებლად 6000 თეთრი დაიურვოს სისხლის ფასად;
- თუ აზნაური იყოს გამგებლად მის გვარსა ზედა დაიურვოს სისხლი;

ამავე მუხლში ხევისბერის სისხლიც ასევე 6000 თეთრად არის შეფასებული, მაგრამ არ არის მითითებული მისი სოციალური რანგი. მომდევნო მუხლებში ნათქვამია:

- ვისაც 12 ათასი თეთრია სისხლის ფასი, მას ერთი უარზანგობა – 300 თეთრი არის. აზნაურთა, ხევისბერთა – 150 თეთრი არის ერთი უარზანგობა. ჰეროვანთა – 30 თეთრი. განმარტება – უარზანგობა, საუპატიო ანუ უპატიობის საზღაურია, რაც სისხლის ერთ მეორმოცედ ნაწილს უდრიდა.

ჩამონათვალში ერისთავი ვერ ან არ მოხვდა. სამაგიეროდ მოხსენიებულია აზნაური, რომლის სისხლი ვ. ითონიშვილის მიხედვით ზოგ შემთხვევაში 12000, ზოგჯერ 6 ათას თეთრად ფასობს. ამ „ფაქტზე“ დაყრდნობით ავტორი აკეთებს „ლოგიკურ“ დასკვნას – რადგან მთაში ყველაზე დიდი სისხლის საზღაური 12000 თეთრია, იმავდროულად იგი ყველაზე დიდი მოხელის, ერისთავის სისხლის საზღაური უნდა იყოსო[1].

სინამდვილეში ძეგლი არკვევს არა ერისთავის, არამედ გამგებლის სტატუსს. მთაში გამგებლად შეიძლება დაინიშნოს როგორც აზნაური, ისე მსახურიც. აზნაური გამგებლის სისხლი 12000 თეთრია, მსახური გამგებლისა 6000 თეთრი. აზნაურის რომელიმე სხვა კატეგორია, რომლის სისხლის ფასი 6000 თეთრზე მეტია ან 12000 თეთრზე ნაკლები, ძეგლში ნახსენებიც არ არის.

მთისგან განსხვავებით ბარის აზნაურთა სოციალური ფენა დიფერენცირებულია. ბექაღბუღას სამართლის მიხედვით, დიდი აზნაურის სისხლი 20000 თეთრადაა შეფასებული, დამცრობილი აზნაურის 12000 თეთრად[2].

მთიულეთში გამგებლის თანამდებობაზე, როგორც ჩანს დამცრობილი აზნაურები ინიშნებოდნენ, შესაბამისად „ძეგლისდების“ 31-ე მუხლი, სწორედ მათი სისხლის საურავს უნდა ეხებოდეს. („ვისაც 12000 თეთრია სისხლის ფასი – მისი ერთი უარზანგობა 300 თეთრი არის“)[3].

რომელ მუხლში მიაგნო ვ. ითონიშვილმა აზანაურთა იმ სოციალურ ფენას, რომლის სისხლი არა თუ მსახური გამგებლის, არამედ ხევისბერის სისხლთანაც კია გათანაბრებული?

სამწუხაროდ, ძეგლში მართლაც არის ერთი მუხლი, რომლის უკრიტიკოდ მიღების შემთხვევაში შეცდომა თითქმის გარდაუვალია. შე-

საბამისად, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ დაშვეულ შეცდომაში ავტორთან ერთად ძეგლის გამომცემელსაც მიუძღვის ბრალი.

აი, ეს მუხლიც: „აზნაურთა, ხევისბერთა – 150 თეთრი არის ერთი უარზანგობა.“ როგორ გავიგოთ ეს ვარიანტი?

ვ. ითონიშვილს ეს სწორედ ასე ესმის, მაშინ როცა სისხლის საურავის განსაზღვრისას კანონმდებლისათვის ამა თუ იმ მოხელის სოციალურ კუთვნილებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, რაც სრულიად ბუნებრივია ფეოდალური სისტემისათვის.

ქართულ ფეოდალურ სტრუქტურაში მსახური გაბატონებული წრის ყველაზე დაბალი წარმომადგენელია, რაც შეეხება ხევისბერსა და ხევისბერობას, იგი ადგილობრივ სოციალურ ნიადაგზე წარმოშობილი სახელია. სოციალურად იგი არც აზნაურია და არც მსახური. შესაბამისად აზნაურისა და ხევისბერის სისხლის საურავის გათანაბრება აპრიორულადაც გამორიცხულია. მაგრამ თუ ეს ასეა (არადა მართლაც ასეა), მაშინ როგორ მოხვდნენ აზნაური და ხევისბერი ერთმანეთის გვერდით ერთსა და იმავე საკანონმდებლო მუხლში?

სხვა გზა არ მრჩება. ტექსტის კორექტირების გარეშე ამ ლაბირინითიდან თავის დაღწევა შეუძლებელია.

ერთი შეხედვით, პარადოქსულია, რომ ჩვენი კორექტივი ერთდროულად უაღრესად მნიშვნელოვანია და თითქმის უმნიშვნელოც. მნიშვნელოვანია იმ აზრით, რომ ამით ძეგლის ყველა სუბიექტი, ვგონებთ, კუთვნილ ადგილს იკავებს. უმნიშვნელოა, რამდენადაც ტექსტს მე არც არაფერს ვაკლებთ და არც არაფერს ვამატებთ, უბრალოდ ერთი სიტყვა, ერთი აბზაციდან მეორეში გადაგვაქვს, იქ სადაც თავიდანვე მისი ადგილი იყო და ძეგლის გამომცემლის უყურადღებობის გამო სხვაგან მოხვდა.

გავიმეორებთ ამჯერად ჩვენ მიერ კორექტირებულ 31-ე მუხლს.

„ვისაც 12000 თეთრია სისხლის ფასი, მისი ერთი უარზანგობა 300 თეთრი არის <u>აზნაურთა“.</u>

ამ აბზაცის ეს ბოლო სიტყვა – <u>აზნაურთა,</u> კორექტირებამდე მომდევნო აბზაცის პირველი სიტყვა იყო და შესაბამისად მეორე აბზაცს უნდა მოვაშოროთ იგი. დაგვრჩება: „ხევისბერთა (და არა აზნაურთა, ხევისბერთა) 150 თეთრი არის ერთი უარზანგობა“

შევაჯამოთ ნათქვამი:

1. ერისთავი მთიულეთში უმაღლესი სამოხელეო ტიტულია. მის სოციალურ რანგსა და სისხლის საურავს ძეგლი შეგნებულად არ საზღვრავს. სავარაუდოდ, მისი სისხლი ბარის ნომენკლატური 20 000 თეთრად შეფასებული აზნაურის სისხლის საურავის ტოლფასი უნდა ყოფილიყო;

2. აზნაური გამგებლის სისხლი იურვოდა „მისსა გვარსა ზედა“ ანუ იმის მიხედვით თუ რა ღირსების აზნაური იყო იგი. მთიულეთში, როგორც ჩანს, ძირითადად დამცრობილი აზნაურები გამგებლობდნენ, რომელთა სისხლის ფასი 12 000 თეთრი იყო. „ხელს“ ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ჰქონდა.

3. გამგებლის სისხლი, თუ იგი წოდებრივად მსახური იყო 6000 თეთრი ღირდა. როგორც ვხედავთ, ერთი და იმავე თანამდებობის მქონე პირების სისხლის ფასი რადიკალურად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან იმის მიხედვით თუ რომელ სოციალურ საფეხურზე იდგნენ ისინი. გამგებლის სისხლი, თუნდაც სოციალურად დამცრობილი აზნაური ყოფილიყო, ერთიორად აღემატებოდა სოციალურად მსახური გამგებლის სისხლს;

4. ხევისბერი, როგორც აღინიშნა, არც აზნაურია და არც მსახური. იგი ფეოდალური ელიტის მიღმა დგას. აღნიშნულის მიუხედავად ყველა შემთხვევაში მისი სისხლი 6000 თეთრადაა შეფასებული და უტოლდება წოდებრივად მსახურ-გამგებლის სისხლის ფასს. ამის მიზეზი ისაა, რომ ხევისბერი ფუნქციურად მოხელეა და ეს უფლება სანქციონირებულია დარბაზის მიერ – („ხევისბერს ლაშქართ თავადობა ბოძებია დარბაზით“), მოხელეობა მას დამატებით პრივილეგიებს ანიჭებს, რაც მატერიალურად აისახა სისხლის ფასში. მისი სისხლი ხუთჯერ აღემატებოდა ჰეროვანის სისხლს, რიგით მეთემეზე მისი უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა იყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ვ. ითონიშვილი, მოსახლეობის სოციალური შემადგენლობა აღ. საქართველოს მთიანეთში (მთიულეთი, გუდამაყარი, ხანდო, ჭართალი) გიორგი ბრწყინვალის „ძეგლის დადებას“ მიხედვით. მაცნე, ისტორიის სერია, 1980, 2, გვ. 64-65;
2. „ძეგლის დადება მეფეთ-მეფე გიორგის მიერ“ ქართული სამართლის ძეგლები, II, 1963, გვ. 401-421.
3. ქართული სამართლის ძეგლები, II, 1963, გვ. 212.

СТОИМОСТЬ КРОВИ ГОСУДАРСТВЕННЫХ СЛУЖАЩИХ ПО «УЛОЖЕНИЮ» («ДЗЕГЛИСДЕБА») ГЕОРГИЯ БЛИСТАТЕЛЬНОГО

Г. ДЗИДЗИГУРИ
профессор ГТУ

В работе рассмотрены социальная принадлежность и стоимость крови государственных служащих одного из высокогорных районов средневековой Грузии, в частности Мтиулети.

Под стоимостью крови подразумевается денежная сумма, которую преступник должен был заплатить за покушение на жизнь того или иного государственного служащего.